საფეხბურთო მატჩი თეირანი - თბილისი

თეირანი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). აქ შესდგა საფეხბურთო მატჩი თბილისისა და თეირანის ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია თეირანელთა შორის. სტადიონზე იყო დაახლოებით 15 ათასი მაყურებელი, დამსწრეთა შორის იყვნენ ირანის შაჰი მუჰამედ რეზა ფეჰლევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ს. ქავთარაძე, სსრ კავშირის ელჩი ირანში მაქსიმოვი. მატჩი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით, რომლებმაც მოიგეს ანგარიშით 4:0.

31 ოქტომბერი, 1944 წ.